საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №85/ნ
2023 წლის 12 სექტემბერი

ქ. თბილისი

„მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 05/09/2016; ს/კ: 430110000.22.022.017185) დამტკიცებულ „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის“ მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის საფუძველზე, სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭებათ ქვემოთ მითითებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამის მოდულზე შემდეგი რაოდენობით ჩარიცხულ პირებს:

№	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	ადგილების რაოდენობა
1	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	130
2	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	190
3	სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	135
4	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	85
5	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	60
6	სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50
7	სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50
8	სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	55
9	სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	7
10	სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	8
11	სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	80
12	სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	25
13	შპს – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტი	20

14	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	117
15	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	150
16	შპს – საქართველოს უნივერსიტეტი	10
17	შპს – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	40
18	შპს – ევროპის უნივერსიტეტი	120
19	შპს - თბილისის თავისუფალი აკადემია	60
20	შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	30
საერთო რაოდენობა		**1422**

“;

ბ) „1[1]“ პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი ამილახვარი**